

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს
მის.: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. №15/ა

ასლი: სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს
დასავლეთ ცენტრალური ფილიალის დირექტორს
ბატონ დავით მურადაშვილს


ქ. ქუთაისში, ოცხელის ქ. №2-ში მდებარე
(ყოფილი სამხარეო კლინიკური საავადმყოფო) ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით
გადაადგილებულ პირთათვის 110-ბინიანი საცხოვრებელი სახლის
გარე ელექტრომომარაგების აღდგენის შესახებ

თქვენი 2014 წლის 25 აპრილის განაცხადის (შემ. №2529340) პასუხად გაცნობებთ, რომ სს
„ენერგო-პრო ჯორჯია“ არ არის წინააღმდეგი ქ. ქუთაისში, ოცხელის ქ. №1-ში (ს/კ 03.05.26.022)
მდებარე 110-ბინიანი საცხოვრებელი სახლის, მოთხოვნილი P-270 kW, ელექტრომომარაგება
განხორციელდეს შემდეგი ტექნიკური პირობებითა და ელექტრული სქემით:

1. ობიექტის გარე ელექტრომომარაგება აღდგეს 35/6 kV ძაბვის ქს „ქუთაისი-1“-ს 6 kV ძაბვის სექციის სახაზო უჯრედიდან გამავალი ე.გ.ხაზ-„მინისტარა“-ზე განშტოებით მიერთებული 6/0.4-400 kVA #301-349ა სატრანსფორმატორო ქვესადგურის 0.4 kV ძაბვის გამანაწილებელი მოწყობილობიდან;
2. #301-349ა ს/ქ-ს 0.4 kV ძაბვის სექციაში გამოიყოს ან დაემატოს საკომუტაციო აპარატი/აპარატები, საიდანაც ობიექტის 0.4 kV ძაბვის შემყვან-გამანაწილებელ მოწყობილობამდე აშენდეს ე.გ.ხაზი/ხაზები;
3. ასაშენებელი ე.გ.ხაზის/ხაზების სიგრძე, სადენის ტიპი, მარკა და კვეთი დაზუსტდეს პროექტირების დროს;
4. ხაზის ტრასა (მიწისქვეშა და მიწისზედა) შეთანხმდეს ყველა დაინტერესებულ მხარესთან.
5. მიმდებარე მაღალი ძაბვის ქსელი შემოწმდეს მოკლე შერთვისა და დატვირთვის დენებზე, საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს სარეკონსტრუქციო-აღდგენითი სამუშაოები;
6. მიმდებარე ქსელში გადაისინჯოს სარელო დაცვის მოწყობის პრინციპები და მოხდეს დანაყენების ანგარიში;
7. ელექტროენერჯიის საკონტროლო აღრიცხვა მოეწყოს #301-349ა სატრანსფორმატორო ქვესადგურში, ობიექტის მკვებავი ე.გ.ხაზის თავში (ადგილი დაზუსტდეს პროექტირების დროს), ამასთანავე:
 - 7.1. აღრიცხვისათვის გამოყენებულ იქნას აქტიური ელექტროენერჯიის ცალმიმართულებიანი, 3-ელემენტოანი, სამფაზა, პირდაპირი მიერთების ელექტრონული მრიცხველი შემდეგი მახასიათებლებით: $U_n=220/380$ V; $I_n=5(60)$ A; სიზუსტის კლასი - არანაკლებ 1.0; მთვლეელი მექანიზმი არანაკლებ 5+1 ციფრი;

15 22.7.25/01
05 4

- 7.2. მრიცხველი უნდა იყოს შეტანილი საქართველოში მოქმედ «გამზომი ხელსაწყოების რეესტრში» და უნდა ჰქონდეს «საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო»-ს ლუქები და დამოწმების მოწმობა.
- 7.3. აღრიცხვის კვანძი მოწყობილი უნდა იყოს საქართველოში მოქმედი ყველა ნორმატიული აქტის გათვალისწინებით.
- 8. მოხდეს საცხოვრებელი ბინების, ლიფტების, კომერციული ფართების და საერთო სარგებლობის ფართის ინდივიდუალური გამრიცხველიანება;
- 9. სადარბაზოში პროექტის მიხედვით დაკომპლექტებული შემყვან-გამანაწილებელი კარადის/კარადების მონტაჟი.
- 10. ავტომატური ამომრთველებით დაკომპლექტებული 0.4–0.23 kV ძაბვის გამანაწილებელი კარადების (რომლებშიც დამონტაჟდება 0.4–0.23 kV ძაბვის ელექტროენერგიის მრიცხველები) მოწყობა;
- 11. ობიექტის 0.4–0.23 kV ძაბვის შიდა ძალოვანი ქსელის სრული მონტაჟი, გამანაწილებელი კარადიდან ინდივიდუალურ მომხმარებლამდე.
- 12. მომხმარებელთა საიმედო და უსაფრთხო ელექტრომომარაგების მიზნით, სს «ენერგო-პრო ჯორჯიასთან» წინასწარ შეთანხმებული პროექტით განსაზღვრული სხვა აუცილებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება;
- 13. არ იქნეს გადაჭარბებული მოთხოვნილი 270 kW სიმძლავრე (110 მოსახლე, 8 განცალკევებული აღრიცხვა სადარბაზოს და დერეფნების განათებისთვის);
- 14. ყველა სამუშაო შესრულდეს დამკვეთის ხარჯზე.
- 15. ობიექტის მფლობელი ვალდებულია მისი კუთვნილი ქსელის მოწყობისა და შემდგომი ექსპლუატაციისას დაიცვას «ელექტროდანადგარების მოწყობის წესები»-ს, «ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები»-ს, «უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას»-ა და საქართველოში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნები.


ზდენეკ ვახუაძე
განვითარების მენეჯერი

შემსრულებელი ნათია ჭუნაშვილი
ტელ.: +(995)577350515